ნატო სონღულაშვილი
ისტორიის დოქტორი,
თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი
და უახლესი ისტორიის განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელი

საქართველოს საზღვრისპირა რეგიონების ეროვნულ-უმცირესობათა განათლება (XX საუკუნის 40-იანი წლები)

საბჭოთა პერიოდის საქართველო გამოირჩევა რთული და წინააღმდეგობებით აღსავსე მოვლენებით. საბჭოთა რეჟიმის დამყარებისთანავე საქართველო ახალ რეალობაში აღმოჩნდა და ყოველი დღე ახალი გამოწვევების წინაშე აყენებდა ქვეყანას. ერთ-ერთ პრობლემურ და აქტუალურ საკითხს წარმოადგენდა ეროვნულ-უმცირესობათა პრობლემა. აღნიშნულთან დაკავშირებით საარქივო დოკუმენტები საინტერესო დასკვნების გამოტანის საშუალებას გვაძლევს.

საბჭოთა ხელისუფლება მაქსიმალურად ცდილობდა საგანმანათლებლო სისტემა საკუთარი ინტერესების განხორციელებისთვის გამოეყენებინა. 1944-1945 წლებში მთავ-რობის დადგენილების საფუძველზე გატარდა ღონისძიებანი პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა ლიტერატურის დაკომპლექტების ხაზით. მთავრობის დადგენილების შემდეგ დაეგზავნა ლიტერატურა: ადიგენის რაიონს – 21, 186 მანეთის, ასპინძის რაიონს - 11. 895 მანეთის, ახმეტის რაიონს - 11, 734 მანეთის, გორის რაიონს - 29, 711 მანეთის. კაჭრეთის რაიონს - 11, 895 მანეთის, ქლუხორის რაიონს - 8, 258 მან; დუშეთის რაიონს - 13, 318 მან. ახალხევის რაიონს - 8, 704 მან; ახალციხის რაიონს - 28, 510 მან. და ა. შ. სულ ყველა რაიონის პოლიტდაწესებულებებს გარდა იმ ლიტერატურისა, რასაც ისინი უშუალოდ იძენდნენ ადგილზე, გაეგზავნათ ცენტრალიზებული წესით 70, 815 ცალი წიგნი. ლიტერატურა შერჩეული იყო ძირითადად პოლიტიკური, სამეცნიერო-პოპულარული, სასოფლო-სამეურნეო, მხატვრული შინაარსის. ლიტერატურით დაკომპლექტება მოხდა ბიბლიოთეკური წესით, ბიბკოლექტორის მიერ. ადგილზე ლიტერატურა გაუნაწილდა პოლიტგან-დაწესებულებებს, ამასთან გატარებულია ღონისძიებანი წიგნობრივი ფონდების აღრიხცვისა და მოვლა-დაცვის უზრუნველსაყოფად. ლიტერატურის გარდა პოლიტგანდაწესებულებებს გაეგზავნათ ბელადისა და პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა პორტრეტები 9 სახელწოდების 5000 ცალი, საბჭოთა კავშირის, ევროპისა და მსოფლიოს რუკები 4 სახელწოდების 5070 ცალი, სხვადასხვა შინაარსის პლაკატები 11 სახელწოდების 3090 ცალი, საბჭოთა კავშირის გმირების სურათები 18, 400 ცალი და სხვა“.[1]

საქართველოს ტერიტორიაზე მრავლად ცხოვრობდა ეროვნული უმცირესობა. „საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრობს მრავალეროვნული მოსახლეობა. ყველა ეროვნების ბავშვები სწავლობენ ეროვნულ ენაზე. რუსული მოსახლეობის უმრავლესობა ცხოვრობს ქ. თბილისში, ქუთაისში, ფოთში, ბათუმში, სამრეწველო ადგილებში,

[1] საქართველოს ეროვნული არქივი, საქართველოს უახლესი ისტორიის არქივი, ფ. 600, აღწ. 4, საქ. №7243, გვ. 24

ცენტრების მსხვილ რაიონებში და საბჭოთა მეურნეობებში. ასეთ ადგილებში რუსი ბავშვებისთვის გახსნილია 342 სკოლა, სადაც მიმდინარე სასწავლო წელს სწავლობს 84. 041 მოსწავლე. ასეთი სკოლების უმრავლესობა უზრუნველყოფილია კარგი სათავსოებით და სათანადო სასკოლო ავეჯით.

რუსულ სკოლებში მასწავლებლების უმრავლესობა არის მაღალკვალიფიციური რუსი პედაგოგები. სწავლება რუსულ სკოლებში ყოველწლიურად უზრუნველყოფილია მოსწავლეებით და სასკოლო პროგრამებით, რომელიც მიღებულია რსფსრ-დან.

ამ წელს რსფსრ-დან მიღებულ იქნა 35 000 ეგზემპლარი, 86 სახელწოდების, მოსწავლეებისათვის. ომამდე საშუალოდ საქართველოში მიღებულ იქნა 25 000 წიგნი, ყოველ მოსწავლეზე საშუალოდ 3 სახელმძღვანელო. მიუხედავად გარკვეული სირთულეებისა სამამულო ომის პერიოდში საშუალო სკოლა დაამთავრა 8000-ზე მეტმა რუსმა მოსწავლემ. მიმდინარე წელს რუსი მოსწავლეების უმრავლესობამ წარმატებით ჩააბარა სიმწიფის ატესტატის გამოცდები.[2]

საქართველოს ტერიტორიაზე არის 263 უფროსთა, შვიდწლიანი და საშუალო სომხური სკოლები. ამ სკოლებში 47 565 მოსწავლე სწავლობს. სომხები ძირითადად ცხოვრობენ თბილისში. თბილისში 12 სომხური საშუალო სკოლაა, სადაც სწავლობს 8762 მოსწავლე. ქალაქ ახალციხეში 51 სომხური სკოლა 10631 მოსწავლით. ბევრი სომხური სკოლაა აგრეთვე აფხაზეთის და აჭარის ასსრ-ში. სომხური სკოლები მოქმედებს აგრეთვე გორში, თელავში, ლაგოდეხში, სიღნაღში და სხვა რაიონებში. ამ რაიონებში ჭარბობს ქართული მოსახლეობა, ამიტომ მოსწავლე სომხებმა კარგად იციან ქართული ენა. 1943 წლამდე ამ რაიონებში 8 სომხური სკოლა იქნა განახლებული ქართულ სკოლად, ამ პერიოდისთვის კი დასახელებულ რაიონებში სომხური სკოლები უკვე არ მოქმედებს.

საქართველოს სსრ-ში 1943 წლამდე მოქმედებდა 289 უფროსთა, შვიდწლიანი და საშუალო აზერბაუჯანული სკოლა. ამ სკოლებში იყო 22 470 მოსწავლე. 1944-1943 სასწავლო წელს 50 აზერბაიჯანული სკოლა გადაკეთდა ქართულად. ახალციხის, ასპინძის და ადიგენის რაიონში გადასახლებულებთან კავშირის გამო აზერბაიჯანული სკოლები გაუქმდა.

1945 წელს საქართველოში იყო 150 აზერბაიჯანული სკოლა 19 121 მოსწავლით. ეს სკოლები ძირითადად მდებარეობს ბაშკიჩეთის, ყარაიაზის, ბორჩალოს და ბოლნისის რაიონებში, მაგალითად ბაშკიჩეთის რაიონში არის _ 39 სკოლა, ბორჩალოში _ 49, ყარაიაზში _ 9, ბოლნისში _ 35.

განახლებულ სომხურ და აზერბაიჯანულ სკოლებში გაუმჯობესდა სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა, რადგან ეს სკოლები უზრუნველყოფილია შესაფერისი პედაგოგიური კადრებით, წიგნებით და სასწავლო სახელმძღვანელოებით. სამ სკოლაში სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე.

სახელმძღვანელოები და სასწავლო პროგრამები სომხური და აზერბაიჯანული სკოლებისათვის შემოაქვთ სომხეთსა და აზერბაიჯანიდან. 1944-1945 სასწავლო წელს სომხეთის სსრ-დან შემოტანილ იქნა 2600 ეგზემპლარი წიგნი 14 დასახელების, 1 წიგნი 18 მოსწავლეზე. აზერბაიჯანიდან 27000 ეგზემპლარი წიგნი 52 დასახელების 1, 5 წიგნი ყოველ მოსწავლეზე.

ბევრი აზერბაიჯანული სკოლა არ არის უზრუნველყოფილი პედაგოგიური

---

[2] საქართველოს ეროვნული არქივი, საქართველოს უახლესი ისტორიის არქივი,ფ. 600, აღწ. 1, საქ. №7246, ფურც. 111

კადრებით, მრავალში მათ შორის ასწავლის საშუალო და უმაღლესი განათლების არ მქონე პედაგოგები.

1943-1944 სასწავლო წლიდან საქართველოში სამხრეთ-ოსეთის ჩათვლით მოქმედებდა 350 ოსთა სკოლა 19 500 მოსწავლით.

დადგენილია, რომ ოსების სკოლებში გორის, თელავის, ქარელის, ხაშურის, ბორჯომის, ლაგოდეხის და სხვა რაიონებში სასწავლო-საგანმანათლებლო მუშაობა არადამაკმაყოფილებელია. მთავარი პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ ამ სკოლებს არ ყავთ სათანადოდ მომზადებული პედაგოგები, ოსური ენის მცოდნენი. ამ სკოლებში ასწავლიან ოსი პედაგოგები საშუალო განათლებით.

ოსეთის სკოლები არ არის უზრუნველყოფილი ოსურ ენაზე არსებული სახელმძღვანელოებით. ქიმიის, ფიზიკის, მათემატიკის, ისტორიის და სხვა მთავარი დისციპლინები ისწავლება სახელმძღვანელოების გარეშე. ოსური სკოლების ბავშვები არ იჩენენ ინტერესს სწავლისადმი, რადგან ოსური სკოლის დასრულების შემდეგ მათ არ აქვთ შესაძლებლობა გააგრძელონ სწავლა вуз-ში.

ამ სკოლების რეორგანიზაცია არის აუცილებელი, რადგან ოსური სოფლები მდებარეობს ქართული მოსახელობის გარემოცვაში, ამიტომ 1944-1945 სასწავლო წელს 80 უფროსი სკოლა_2643 მოსწავლით, 13 შვიდწლიანი სკოლა 1415 მოსწავლით _ გორის, ქარელის, ბორჯომის, ხაშურის, ლაგოდეხის და თელავის რაიონებში იქნა რეორგანიზებული ქართულ სკოლებად. სულ განახლებული იქნა 100 ოსური სკოლა და ეს სკოლები მიმართულია 250 კვალიფიციუ პედაგოგზე სხვადასხვა სასწავლო დისციპლინებით. სკოლები უზრუნველყოფილ იქნენ წიგნებით და სასწავლო ნივთებით.

1944-1945 სასწავლო წელს ქართული და რუსული სკოლები განახლდა სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე. ქართულ სკოლად გადაკეთდა 23 ოსური საშუალო და შვიდწლიანი სკოლა და რუსულად 22 ოსური საშუალო და შვიდწლიანი სკოლა.

1944-1945 სასწავლო წელს ამ სკოლებში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა პედაგოგიური კადრების უზრუნველყოფას, წიგნებს და სასწავლო ნივთებს. სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში გაგზავნილ იქნა 240 კვალიფიციური მასწავლებელი რეორგანიზებული სკოლისთვის დაადგინეს, რომ სწავლება ამ სკოლებში მიმდინარეობდეს ქართულ და რუსულ ენებზე.

ყურადღების გარეშე არ დარჩენილა არც აფხაზური სკოლები. 1945-1946 სასწავლო წელს აფხაზური სკოლებში სწავლება შემოღებულ იქნა ქართულ ენაზე. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მუშაობის გაუმჯობესების საქმეს ქართულ სკოლაში კახში, ზაქათალაში და ბელაქნის რაიონს აზერბაიჯანის სსრ-ში. ამ პერიოდში საინგილოში ფუნქციონირებს 15 ქართული უფროსთა შვიდწლიანი და საშუალო სკოლა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ საინგილოს თითქმის ყველა მსხვილ სოფელში გახსნილ იქნა სკოლები, სწავლება მიმდინარეობდა აზერბაიჯანულ ენაზე.

1937 წელს ცკკპ აღძრა საკითხი ქართული სკოლების ბავშვების განათლებაზე, მცხოვრებნი ბელაქნის, ზაქათალის და კახის რაიონებში. ცენტრალურმა კომიტეტმა ნაციონალურ პოლიტიკას დაუკავშირა ქართველი ბავშვების სწავლება აზერბაიჯანულ ენაზე და დაადგინა, რომ სწავლება ქართულ სკოლებში ყოფილიყო ქართულ ენაზე.

სამამულო ომის პერიოდში ამ რაიონების ქართულ სკოლებში სწავლება გადაყვანილ იქნა აზერბაიჯანულ ენაზე და 1943-44 სასწავლო წლის დასაწყისში კახის რაიონის რამდენიმე სკოლაში ქართულ ენაზე. 1944-1945 სასწავლო წელს სპეციალური დადგენილებით სწავლება ბელაქნის, ზაქათალის, კახის რაიონის სკოლებში გადაყვანილ

იქნა ქართულ ენაზე. დაადგინეს:

1. კახის, ზაქათალის და ბელაქნის რაიონის ქართულ სკოლებში დანიშნეს 55 მასწავლებელი. კვარტალში ერთხელ საქართველოდან იგზავნებოდა წამლები და სხვა საჭირო საგნები.

2. ყველა სკოლა უზრუნველყოფილი იყო პროგრამებით, წიგნებით, რვეულებით, კლასგარეშე ლიტერატურით და სხვა. 1944 წლის სექტემბრიდან 1945 წლის თებერვლამდე დასახელებული რაიონების ქართულ სკოლებში გაიგზავნა: 8000 წიგნი, 20000 რვეული, 25000 წიგნი, 2000 მეთოდური ლიტერატურა, 150 საკლასო ჟურნალი, აგრეთვე ბევრი ფანქარი, კალამი, რუკა და სხვა".[3]

1944 წელს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება ახალციხის, ადიგენისა და ასპინძის რაიონებში მცხოვრებ გამაჰმადიანებულ ქართ-ველებისათვის ქართულ ენაზე სწავლების შემოღებისა და ამ რაიონებში მოსახლეობის კულტურული მომსახურების გაუმჯობესების შესახებ. „ახალციხის, ადიგენის და ასპინძის რაიონებში მცხოვრები გამაჰმადიანებული ქართველების დონის შემდგომი ამაღლებისა და სახელმწიფოებრივ, სამეურნეო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში მუშაობის უფრო ნაყოფიერად წარმართვისათვის, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს.

1. 1944/45 სასწავლო წლიდან შემოღებულ იქნეს ქართულ ენაზე სწავლება ახალციხის, ადიგენისა და ასპინძის რაიონების გამაჰმადიანებული ქართველებით დასახლებულ 43 სოფლის დაწყებით და არასრულ საშუალო სკოლების პირველ ოთხ კლასში, ამავე სოფლების დაწყებით და არსრულ საშუალო სკოლების მე-5-7 კლასებში სწავლების გადაყვანა ქართულ ენაზე დამთავრდეს 1948-1949 სასწავლო წლისათვის.

ახალციხისა და ადიგენის რაიონებში მცხოვრებ გამაჰმადიანებულ ქართველთა სხვა დანარჩენ სოფლების დაწყებით და არასრულ საშუალო სკოლების პირველ ოთხ კლასში სწავლების შემოღება ქართულ ენაზე დამთავრდეს 1945-46 სასწავლო წლისათვის, ხოლო არასრულ საშუალო სკოლების მე-5-7 კლასებში -1949-1950 სასწავლო წლისათის.

2. ახალციხის, ადიგენისა და ასპინძის რაიონების ქართულ ენაზე გადაკეთებული სკოლების მასწავლებელთა ადგილობრივი კადრების უზრუნველყოფის მიზნით:

ა) 1944-45 სასწავლო წლიდან ზუგდიდის სამასწავლებლო ინსტიტუტი გადა-ტანილი იქნეს ახალციხეში და დაკომპლექტებული იქნეს სამხრეთ საქართველოს /ახალციხის, ასპინძისა, ადიგენისა და ახალქალაქის რაიონების/ ქართული საშუალო სკოლების კურსდამთავრებული ახალგაზრდებით, _ ქ/ ზუგდიდში 1944-45 სასწავლო წელში დარჩეს მეორე კურსი, როგორც სალიკვიდაციო.

ბ) 1944-1945 სასწავლო წლიდან ქ. ახალციხეში გაიხსნას ქართული პედაგოგიური სასწავლებელი. პედაგოგიური სასწავლებლის კონტიგენტი 1944-45 სასწავლო წლისათის განისაზღვროს 60 მოსწავლით.

გ) ახალციხისა, ადიგენისა და ასპინძის რაიონებისათვის უმაღლესი განათლების მქონე ადგილობრივი კადრების მომზადების მიზნით, უზრუნველყოფილი იქნეს 1944, 1945 და 1946 წ.წ. ყოველწლიურად ამ რაიონებში მცხოვრები საშუალო განათლების მქონე 25 ქართველი ახალგაზრდის ჩარიცხვა ქ. თბილისი სასწავლებლებში, თანახმად განაწილებისა.

წინადადება მიეცეს მშრომელთა დეპუტატების ახალციხის, ადიგენისა და ასპინძის

---

[3] საქართველოს ეროვნული არქივი, საქართველოს უახლესი ისტორიის არქივი,ფ. 600, აღწ. 1, საქ. №7246, ფურც. 111

რაისაბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს აწარმოონ საშუალო სკოლების კურსდამთავრებულთაგან წარჩინებული მოსწავლეების შერჩევა და მათი გამოგზავნა ქ. თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში.

დაევალოს ამხანაგ სტალინის სახელობის ქ. თბილისის სახელმწიფო უნივერ-სიტეტის რექტორსა და სამედიცინო, სასოფლო-სამეურნეო და ინდუსტრიული ინსტი-ტუტების დირექტორებს დაუბრკოლებლივ ჩარიცხონ ახალციხის, ადიგენისა და ასპინძის რაიონებიდან მოვლინებული მოსწავლეები უმაღლეს სასწავლებელში მოვლინებული მოსწავლეები უმაღლეს სასწავლებლებში და შეუქმნან მათ საჭირო პირობები /ბინა, სტიპენდიები, სახელმძღვანელო წიგნები და სასწავლო ნივთების/ სწავლის წარმატებით დამთავფრებისათვის.

4. ახალციხის, ადიგენისა და ასპინძის რაიონების ქართულად გადაკეთებული სკოლების კვალიფიციური მასწავლებლებით უზრუნველსაყოფად:

ა) დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს 1944-45 სასწავლო წლიდან გაუკეთოს მობილიზაცია საქართველოს სს რესპუბლიკის სკოლებში მომუშავე 200 გამოცდილ მასწავლებელს და მიავლინოს სამუშაოდ, _ 65 მასწავლებელი ახალციხის რაიონებში, 35 _ ადიგენისა და 100 მასწავლებელი _ ასპინძის რაიონში.

ბ) დაევალოს ახალციხის, ადიგენისა და ასპინძის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების თავმჯდომარეებს შეუქმნან სათანადო პირობები ქართულ ენაზე გაკეთებულ სკოლებში სამუშაოდ მივლინებულ მასწავლებლებს, მისცენ მათ ბინები, უზრუნველყონ ისინი გათბობითა და განათებით და სახელმწიფო ფასებში გამოჰყონ მათთვის სურსათ-სანოვაგე.

5. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს 1944 წელში სოფლად სასკოლო მშენებლობის გეგმაში გაითვალისწინოს ასპინძის, ადიგენისა და ახალციხის რაიონებში თითო სასკოლო შენობის აგება 160 მოწაფის ტევადობით და დროულად უზრუნველყოს ეს მშენებლობანი პროექტებითა და ხარჯთაღრიცხვებით.

ამასთან ერთად დასახოს ღონისძიებანი აღნიშნულ რაიონებში 1944-45 სასწავლო წლისათვის არსებული სასკოლო შენობების საფუძვლიანი შეკეთებისა და მათი სასკოლო ინვენტარით უზრინველსაყოფად.

6. დაევალოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ საგეგმო კომისიას გამოყოს დასახლებული სკოლების მშენებლობისა და არსებული სასკოლო შენობების შეკეთებისათვის საჭირო სააღმშენებლო მასალები.

7. ახალციხის, ადიგენისა და ასპინძის რაიონების ქართულ ენაზე გაკეთებული სკოლების სასწავლო კაბინეტებითა და ამ სკოლების მოსწავლეების წიგნებით, სასწავლო ნივთებითა და რვეულებით უზრუნველსაყოფად, დაევალოს:

ა) საქართველოს სსრ ფინსახკომს-სასწავლო კაბინეტების შესავსებად 1944 წლის ბიუჯეტში გაითვალისწინოს 400 ათასი მანეთით;

ბ) საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს-შექმნას სპეციალური ფონდი, მთლიანად უზრუნველყოს ამ რაიონებში ქართულ ენაზე გადაკეთებული სკოლების მოსწავლეები საჭირო წიგნებით, რვეულებითა და სხვა სასწავლო ნივთებით.

8. პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების უზრუნველ-საყოფად:

ა) ასპინძის სარაიონო კლუბი 1944 წლიდან გადაკეთდეს კულტურის სახლად. დაევალოს საქართველოს სსრ ფინსახკომს საქართველოს სსრ განსახკომის მიერ წარდგენილი გეგმისა და ხარჯთაღირცხვის მიხედვით, 1944 წლისათვის გაითვალისწინოს

საჭირო სახსრები ასპინძის კულტურის სახლის რეკონსტრუქციისათვის, ხოლო საქა-რთველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულმა საგეგმო კომისიამ მშენებლობისათის გამოყოს საჭირო მასალები; არსებული ფონდიდან წიგნები ახალციხის, ადიგენისა და ასპინძის რაიონების პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებათათვის, ხოლო მომავალში სისტემატიურადშავსოს ამ რაიონების პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებანი მიმდინარე პოლიტიკური, მეცნიერულ-პოპულარული დაწესებულებანი მიმდინარე პოლიტიკური, მეცნიერულ-პოპულარული, სასოფლო-სამეურნეო და მხატვრული ლიტერატურტით...

... ა) საქართველოს სსრ განსახკომის დაწყებითი და საშუალო სკოლის სამმართველოში შეიქმნას ქართულ ენაზე და გადაკეთებული სკოლების განყოფილება, განყოფილების გამგისა და ორი ინსპექტორ-მეთოდისტის შემადგენლობით."[4]

გარდა საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობისა საინტერესოა რა დამოკიდებულება არსებობდა ინგილო მოსწავლეების მიმართ. ინგილო მოსაწავლეთათის სწავლაში ხელშეწყობისა და კულტურული საყოფაცხოვრებო პირობების შექმნის მიზნით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

„1. ჩაირიცხოს საქართველოს სსრ უმაღლეს სასწავლებლებში 1945/46 წელს უგამოცდოდ 16 ინგილო აბიტურიენტი:

ა) სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში _ 5.

ბ) ბერიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში _ 3.

გ) პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტში _ 4.

დ) საქართველოს სახელმწიფო ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტში _ 3.

ე) თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში _ 1.

2. ჩაირიცხოს თბილისის სხვადასხვა სკოლებში სასკოლო ასაკის 5 ინგილო ბავშვი:

ა) საშუალო სკოლაში _ 3

ბ) მოზრდილთა სკოლაში _ 1

გ) საფაბრიკო-საქარხნო სკოლაში _1

განათავისუფლდეს სწავლის გადასახადისაგან ახლად ჩარიცხული 16 ინგილო სტუდენტი და 5 მოსწავლე.

4. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს /კუპრაძეს/:

ა) მოაწყოს სტუდენტთა ქალაქში ინგილო სტუდენტებისა და მოზრდილ მოსწავლეთათვის ინტერნატი ერთ-ერთ კორპუსში სათანადო ადგილის გამოყოფით.

ბ) დანიშნოს ინტერნატში გამგე და აღმზრდელი მასწავლებელი ინგილო მოსწავლეთათვის ყოველდღიური ხელმძღვანელობისა და მეთვალეყურეობის გასაწევად.

გ) მოაწყოს უმაღლეს სასწავლებლებში სისტემატიური დამაყებითი მეცადინეობა-კონსულტაციები ინგილო სტუდენტებთან.

დ) უზრუნველყოს ინგილო მოსწავლეები ტრანსპორტით დროგამოშვებით ოჯახთან კავშირის დასაჭერად.

5. დეავლოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საგეგმო კომისიას /ალავიძე/ გაუდიდოს საქართველოს სსრ განათლების კომისარიატს ბენზინის ლიმიტი ყოველდღიურად 200 კმ-ით, ინგილო სტუდენტთა სატრანსპორტო

[4] საქართველოს ეროვნული არქივი,საქართველოს უახლესი ისტორიის არქივი, ფ. 600, აღწ.1, საქ. #7040, ფურც. 31-33

საჭიროებებისათის.

6. დაევალოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატს /ორბელიძე/:

ა) უზრუნველყოს ინგილო მოსწავლეთა ინტერნატი მრეწველობისა და ტრანსპორ-ტის მუსათა 1 კატეგორიის მომარაგებით.

ბ) დამატებით გადასცეს ინტერნატში ჩარიცხულ ყველა ინგილო მოსწავლეთათვის პურის წიგნაკები და სასურსათო და სამრეწველო საქონლის ტალონები.

გ) გამოჰყოს ინგილო მოსწავლეთათვის ერთდროულად ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და თეთრეული."[5]

„აზერბაიჯანის კ. პ. /ბ/ ცეკას და სახალხო კომისართა საბჭოს სპეციალური დადგენილების საფუძველზე კახისა, ზაქათალისა და ბელაქნის რაიონის ინგილოთა სოფლებში 1944-1945 სასწავლო წლიდან კვლავ ქართულ ენაზე იქნა გადაყვანილი სწავლება.

ამასთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ განსახკომის მიერ თქვენი დავალების საფუძველზე, ინგილოთა ყველა სკოლა მთლიანად იქნა უზრუნველყოფილი კვალიფი-ცირებულ მასწავლებელთა კადრებით, პროგრამებით, სასწავლო სახელმძღვანელოებით, რვეულებით, კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურით და სხვა სასწავლო ნივთებით. 1944 წლის სექტემბრიდან დღემდე (1945- ნ.ს.) დასახელებული რაიონების ქართულ სკოლებს საქართველოდან გაეგზავნა 8000 ცალამდე სახელმძღვანელო წიგნი, 20000 ცალამდე რვეული, 25 000 ცალამდე კლასგარეშე საკითხავი წიგნი, 2000 წიგნზე მეტი მეთოდური ლიტერატურა მასწავლებელთათვის, 150 ცალი საკლასო ჟურნალი, აგრეთვე ასობით ფანქარი, კალამი, რუკა და სხვა სასწავლო ნივთი.

საქართველოდან გაგზავნილი იქნა სათანადო ცენზის და გამოცდილების მქონე 55 მასწავლებელი მუშაობის ნორმალური პირობების შექმნის მიზნით, ყველა მასწავლებელს მიეცა თითოხელი ტანსაცმელი, ფეხსაცმელები და სხვა აუცილებელი ნივთები. მათვე ყოველკვარტალურად ეგზავნებოდა მედიკამენტები, სურსათ-სანოვაგე და პირველი საჭიროების სხვა საგნები.

მასწავლებელთათის ადგილზე დახმარების გაწევის მიზნით, საინგილოში გაგზავნილ იყო 10 დღით საქართველოს სსრ განსახკომის ერთ-ერთი მეთოდისტი.

მიუხედავად ერთგვარი დაბრკოლებისა, შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ ინგილო მოსწავლეები დამაკმაყოფილებლად ეუფლებიან, როგორც ქართულ ენას, ასევე სხვა საგნებსაც. ქართული სიტყვა ფართოდ ინერგება ინგილოებში, ინგილო ბავშვებს შეუყვარდათ ქართული წიგნი, ქართული ლექსი, ქართული სიმღერები. მოსახლეობა პატივისცემით ეპყრობა მასწავლებლებს. ძირითადი ამოცანა, რაც სკოლების წინაშე იყო დასმული ამ წელს _ ქართული წერა-კითხვის შესწავლა-მიღწეულია.

დიდი მუშაობა იქნა ჩატარებული ზაქათალის რაიონში ალიაბადისა და კახის რაიონის ძაგამის ქართულ სკოლებში. ამ სკოლებმა სასწავლო წელი წარმატებით დაასრულა. მასწავლებლების ბეჯითი მუშაობის შედაგად მოსწავლეები აღნიშნულ სკოლებში მშვენივრად წერენ, კარგად კითხულობენ, იყენებენ ქართულ ენაზე არსებულ დამხმარე ლიტერატურას და სხვა. მოსწავლეთა საკმაო ნაწილი კითხულობს საბავშვო წიგნებს, ლექსებს, მოთხრობებს, იდგმება საბავშვო სპექტაკლები; კარგად მუშაობდნენ სხვა სკოლებიც. ამის შედეგია ის, რომ თუ სწავლების ქართულ ენაზე გადაყვანამდე მთელ საინგილოში 12 000-მდე ინგილო მოსწავლე სწავლობდა, ამჟამად მათი რიცხვი 2600-მდე

[5] საქართველოს ეროვნული არქივი, საქართველოს უახლესი ისტორიის არქივი, ფ. 600, აღწ. 1, საქ. #7243, ფურც. 23-24

ავიდა. მაგრამ საინგილოს სკოლებს ჯერ კიდევ არ აქვთ პირობები შექმნილი, რომ ნორმალურად იმუშაონ და უკეთესი ნაყოფი მიიღონ. სკოლების უმრავლესობა ინვენტარით არ არის უზრუნველყოფილი, შენობები საჭიროებენ კაპიტალურ შეკეთებას. სკოლები კაბინეტ-ლაბორატორიებითა და სასკოლო ბიბლიოთეკებით უზრუნველყოფილი არ არიან. კლასების რიცხვის ზრდასთან დაკავშირებით სკოლები დამატებით საჭიროებენ უმაღლესი განათლების მქონე მასწავლებელთა კადრებს.

გარდა ამისა, ქართული ენის დამერგვას საინგილოში მრავალი გარემოება უშლის ხელს, ინგილოთა ზოგიერთ სოფელში კვლავ აზერბაიჯანული სკოლა დარჩა, მაგალითად, სოფელ ენგიანში. ამ სოფელში მცხოვრები ინგილოები მუსულმანები არიან, მათ მჭიდრო კავშირი აქვთ ამ რაიონის არა ინგილო მუსულმანურ მოსახლეობასთან და ამ მიზეზების გამო ქართული ენა ამ სოფელში თანდათანობით დავიწყებას ეძლევა. კახის რაიონის მაჰმადიან ინგილოებით დასახლებულ სოფლებში _ ძაგამში, თასმალოში, ყორაღანში, მარსანში _ შექმნილია ისეთი პირობები, რაც ხელს უწყობს ქართული სკოლის გავლენის შესუსტებას. ამ სოფლებში ამ უკანასკნელ ხანებში ჩამოასახლეს თურქმენთა შთამომავალნი ნუხიდან და აზერბაიჯანის სხვა რაიონებიდან. იქმნება პირობები მუსულმან ინგილოთა დაქორწინებისათვის ჩამოსახლებულებზე. ჩამოსახლებას აწარმოებენ აგრეთვე ქრისტიან ინგილოთა სახლებში და ადგილ-მამულში უკვე 30-ზე მეტი მოსახლე ლეკი და ავარი ცხოვრობს, სოფ. ქოთუქლოში 15 და ა. შ. ჩამოსახლებულნი კოლმეურნეობებში არ მუშაობენ, ეწევიან ქურდობას და სხვა მავნე საქმიანობას და ავიწროებენ ინგილოებს.

საინგილოს ქართული სკოლების მუშაობის გაუმჯობესებისათვის აუცილებლად მიგვაჩნია გატარდეს შემდეგი:

1. კახისა, ზაქათალისა და ბელაქნის ქართულ სკოლებში დამატებით გაიგზავნოს 15-მდე მასწავლებელი და მუშაობის ნორმალური პირობების შექმნის მიზნით, მათ მიეცეთ თითო ხელი ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და სხვა აუცილებელი ნივთები;

2. საინგილოში გაგზავნილ მასწავლებლობას მომავალშიაც ეძლეოდეს ყოველკვარტალურად დღემდე არსებული ნორმების მიხედვით სურსათი და სხვა სამრეწველო საქონელი;

3. დაევალოს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას დაამყაროს კავშირი აზერბაიჯანის სსრ სათანადო სამეცნიერო დაწესებულებებთან და სიძველეთა შესწავლის მიზნით საინგილოში მიავლინოს მეცნიერ-მუშაკთა კომპლექსური ექსპედიცია;

4. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულმა კინოფიკაციის სამმართველომ აზერბაიჯანის სსრ სათანადო ორგანოებთან შეთანხმებით უზრუნველყოს კინო ნარკვევის „საინგილოს" გადაღება და მოაწესრიგოს ქართული კინო-სურათების სისტემატიური ჩვენების საქმე ინგილოთათვის;

5. ხელოვნების საქმეთა სამმართველომ აზერბაიჯანის სსრ ხელოვნების საქმეთა სამმართველოსთან შეთანხმებით სისტემატიურად მოაწყოს კონცერტები საინგილოში და უზრუნველყოს აგრეთვე ადგილზე მეჩონგურეთა ანსამბლის შექმნა.

6. ნება დაერთოს საქართველოს სსრ განსახკომს საინგილოს სკოლებისათის საქართველოს სკოლების საერთო ფონდიდან გამოჰყოს საჭირო რაოდენობით სახელმძღვანელო წიგნების, რვეულების, კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურის, ფანქრების და სხვა სასწავლო ნივთების ფონდი;

აქვე საინტერესოა აღინიშნოს შემდეგი: ახალქალაქის რაიონში ირიცხებოდა _ 8035 წერა-კითხვის უცოდინარი, აქედან სასწავლო წლის განმავლობაში სწავლებაში ჩაბმული იყო _ 4520 კაცი, ხოლო ივნისისათვის კურსდამთავრებული გამოშვებულია 2581 კაცი. რაც

შადგენს ყველა უცოდინართა მიმართ _ 32, 1%. ამრიგად 20 ივნისისათვის სწავლების გარეშე დარჩენილი იყო 5454 უცოდინარი.[6]

რაიონებში ჩატარებული გამოკვლევითი და განათლების განყოფილებიდან მიღებული ცნობებით დადასტურებულია, რომ წერა-კითხვის უცოდინართა მთელი კონტიგენტი დღემდე არ არის სწავლებაში ჩაბმული. ასე მაგალითად, ადიგენის რაიონში აღრიცხულია 8 754 წერა-კითხვის უცოდინარი, სწავლებაში ჩაბმულია _ 224 კაცი, ახალციხეში _ 4 179, თელავში 4600 უცოდინარიდან ჩაბმულია 1505 კაცი, წალკაში _ 4655 უცოდინარიდან ჩაბმულია 911 კაცი, აჭარის ასსრ-ში _ 13 733 უცოდინარიდან ჩაბმულია 10874 კაცი. ასეთივე მდგომარეობაა ყვარელში, სიღნაღში, ბორჩალოში, დუშეთში, გეგეჭკორში და სხვა რაიონებში. სულ აღრიცხული 156021 წერა-კითხვის უცოდინარიდან სწავლებაში ჩაბმულია 106 886 კაცი, ხოლო 214 330 მცირემცოდნიდან 82 768 კაცი.[7]

განხილული საარქივო დოკუმენტები ასახავს იმ სტატისტიკურ ინფორმაციას რა დამოკიდებულება იყო ეროვნული უმცირესობების მიმართ. დასმული პრობლემა ტავისთავაცხადია საკმაოდ რთულია და სიღრმისეულ მუშაობას და ანალიზს მოითხოვს, თუცა არსებული მეტნაკლებად ასახავს საქართველოს ეროვნულ-უმცირესობათა მდგომარეობას საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირობებში, რომელიც საგანმა-ნათლებლო სივრცეს ხშირ შემთხვევაში საკუთარი მიზნების მიღწევისთვის იყენებდა.

[6]საქართველოს ეროვნული არქივი, საქართველოს უახლესი ისტორიის არქივი, ფ. 600, აღწ. 1, საქ. #7243, ფურც. 99

[7] საქართველოს ეროვნული არქივი, საქართველოს უახლესი ისტორიის არქივი, ფ. 300, ანაწ. 12, წ. 1, საქ. #152, ფურც. 35

Nato Songulashvili

Doctor of History, Ivane Javakishvili Tbilisi state university,

Research scientist of the department of New and modern history of Ivane Javakishvili

Institute of History and Ethnology

Education of national minorities in border regions of Georgia

(40s of XX century)

The study of the history of *Soviet Regime* is one of the actual and important topics of the contemporary historio-graphy. This period of the 20th century is known for the vari-ety of scientific evaluations, attitudes and positions in the World History.

There are many scientific works dedicated to the Soviet system in the Georgian and foreign historiography, and accordingly there occur various positions and attitudes. Hence, it is difficult and at the same time necessary to view the issues related to this period from a different angle and carry out new, objective research, find comprehensive answers to various questions, which still necessitate investigation.

The events, which had place in the period of 1921-1991, have often become the objects of scientific research and there is immense specialist literature in this regard. However, the time transforms the attitudes towards the facts, evaluation trends also change, and in a concrete period, it becomes necessary to reconsider and reveal the tabooed facts of history. The ideological survivals of the Soviet system still affect the mentality of the part of the post-Soviet society. This situation is favored by unilateral coverage of the information and the ignorance of definite historical sources by the wide circles of the society.